გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ძგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

ტფილისი, 21 აგვისტო

ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედი ქვეყანაა. ერთად-ერთი მრეწველობა, რომელზედაც დღეს დამყარებულია ჩვენი კეთილ-დღეობა, ჩვენი სიმდიდრე, ჩვენის ერის გამორჩომა და კვება, მიწასა და მიწის კეთებაზედ არის მიქცეული. ამ მრეწველობის გარედ თითქმის სხვა არავითარი წყარო ცხოვრებისა ჩვენს ერს არა აქვს. რადგანაც ამ მრეწველობას პირდაპირი საქმე მიწასთანა აქვს, ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მიწის გარჩეულს და განსაზღვრულს კუთვნილებას ამ გვარ მრეწველობის კეთილად და მარჯვედ წარმართვისათვის. უამისოდ ეს მრეწველობა ხელ-ფეხ შეკრულია, წინ ერთს ბიჯსაც ვერ გადასდგამს, ვერ იმატებს, ვერარას მოიგვარებს. თუნდ ესეც არ იყოს, გაურჩევლობა და განუსაზღვრელობა მიწათა კუთვნილებისა მიზეზია ათას ნაირ დავი-დარაბისა, ერთმანეთთან სამდურავისა, ჩხუბისა და ხშირად დიდის დანაშაულობისაცა. არა ერთხელ ამ განურჩევლობით და განუსაზღვრელობით ერთმანეთთან დაჯახებულთა იარაღიც უხმარიათ, კაცი შემოჰკვდომიათ.

მთავრობამ დიდი ხანია სცნო ყოველივე ეს ურიგობა, წამომდგარი იქიდამ, რომ კაცმა არ იცის ჩემი რა არის, სხვისა რა არის, და შეუდგა ჩვენის ქვეყნის გამიჯვნასა, რომელსაც საგნად მარტო ისა აქვს, რომ ეს „ჩემი“ და «შენი» სამუდამოდ განსაზღვრულ იყოს და უტყუარის და უცილობელის სიგელით დამტკიცებული. ამისთანა საქმეს, მთავრობის მიერ ჩვენში დაწყებულს, ყველანი, დიდი თუ პატარა, დიდის სიხარულით მიეგებნენ, რასაკვირველია, იმ სამართლიანის იმედით, რომ დღესა თუ ხვალე ეს მიზეზი გაუთავებელის დავი-დარაბისა კარგად თუ ავად თავის სათავეშივე მოსწყდება და არც თვითონ ერს და არც მის ერთად-ერთს მრეწველობას ამ მხრით დაბრკოლება აღარა დახვდება-რა წინ ცხოვრების და მრეწველობის მშვიდობიანად მსვლელობისათვის. სამწუხაროდ ჩვენდა, ეს სამართლიანი იმედი იმ სისწრაფით არ გვიხორციელდება, როგორც სასურველია. საითაც გინდა მიიხედოთ, ყველგან უჩივიან, რომ გამიჯვნა მამულებისა მეტად ფეხ-მძიმედ მიდის, მეტად გვიანობს და თუ თავსა და დაწყებასა ჰხედვენ მემამულენი, ბოლო და დასასრული აღარ უჩანთ.

ეს გარემოება მეტად მძიმე ტვირთად დააწვა ჩვენებურს მიწათმფლობელობას და მასზედ დამოკიდებულს მრეწველობასა. ამისთანა საქმეში, როგორიც მამულების კუთვნილების გარჩევის საქმეა, დაწყება და გათავება ერთიერთმანეთს უნდა მოსდევდეს დაუყოვნებლად. ვინ არ იცის, რომ რაკი გასამიჯნავად მოხელე მამულში შევიდა, მაშინვე მართალი და უმართლო მიესევა ხოლმე მამულის ხელში მჭერელს და დავას უცხადებს, თუნდაც მინამდე დავა ფიქრადაც არა ჰქონოდეს და არავითარი საბუთიც არ მიუძღოდეს. ვიდავებ, თუ არას მომცემენ, ხომ არას წამართმევენო, იძახის გულში და ის რაღაც ჯარიმა, დანიშნული ტყუილის დავისათვის, რომელიც ვინ იცის როდის გადაჰხდება, იმას აინუნშიაც არ მოსდის, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მინამ გაამტყუნებენ და საქმე გათავდება, ბევრი წყალი ჩაივლის. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მამული,—საცა, ვიდრე გამიჯვნა დაიწყებოდა, არავინ არავითარს დავას არ მოელოდდა,—სადავოდ ჰხდება, მემამულეც ბრკოლდება და მისი მოქმედებაცა. ხარჯს და დროს დაკარგვასა საქმის უკან დევნაში აღარ ვახსენებთ, თუმცა ყოველივე ეს ზოგჯერ ისე ძვირად სჯდება, რომ თვითონ სადავო საგანი იმათ არა ჰღირს.

ამ სახით გამიჯვნის საქმის დაყოვნება და დაგვიანება არამც თუ იმ მემამულეებს აბრკოლებს, საცა დავა ადრითვე ატეხილია, არამედ იმათაც უწეწავს საქმეს, ვინც მიწათ-მზომელის მოსვლამდე მშვიდობიანად იჯდა თავის მამულში უდავი-დარაბოდ. „Юридическое Обозрѣніе“-მ თავის ბოლონდელს ნომერში მიაქცია ყურადღება ეგრეთს მძიმედ სვლას გამიჯვნის საქმეებისას და ამის მიზეზს იგი სამართლიანად აწერს არა თვითვეულის მოხელის გაურჯელობას, არამედ თვითონ სისტემასა და გამიჯვნის სასამართლოს აგებულობასა.

> «ეხლანდელი წესი გამიჯვნის საქმისა ესეთიაო, ამბობს ხსენებული ჟურნალი: მიწათ-მზომელი რა შემოუვლის მამულსა, საქმეს ჰგზავნის ოლქის სასამართლოში, თუ საქმეში სადავო რამ არის. თავ-მჯდომარე სასამართლოსი ზედ დააწერს ხოლმე: „გადაეცეს სატეხნიკო ნაწილის შესამოწმებლად.“ საქმე გადადის გამიჯვნის წევრის ხელში. ეს წევრი ამოწმებს და უბრუნებს საქმეს სასამართლოსა. ეგრედ შემოწმებული საქმე ჰრჩება სასამართლოში, ვიდრე მარჯვე შემთხვევა არ წარმოუდგება სასამართლოს, სახელდობრ, იმ დრომდე, ვიდრე შესაძლო იქნება საქმე გასარჩევად დაინიშნოს. ეგ შემთხვევა მაშინ არის ხოლმე, როცა სასისხლო საქმეების სესსია, არის, რადგანაც ამ სესსიებში გამიჯვნის წევრიც ურევია ხოლმე. აქ მოსმენილი საქმე უფრო ბევრ წილ მოითხოვს ხოლმე ადგილობრივს გამოძიებას. ამის გამო საქმე ისევ გამიჯვნის წევრს მისდის. გამიჯვნის წევრიც, თუ შემთხვევა ხელს შეუწყობს, მოახდენს გამოძიებას და ხელ-ახლად გადასცემს ხოლმე სასამართლოს, საცა იგი ჰრჩება გაურჩევლად, ვიდრე კიდევ მარჯვე შემთხვევა არ მიეცემა სასამართლოს. ერთის სიტყვით, ყოველ გამიჯვნის საქმემ, ვიდრე გაირჩევა და დაბოლოვდება, უნდა გაიაროს მთელი გძელი რიგობა „მარჯვე შემთხვევებისა“.

რა თქმა უნდა, რომ ამ გზით მოარული საქმე, დაწყობილი მამისაგან, შვილსა და შვილის-შვილსდა თუ მოესწრობა. გამიჯვნის საქმეების უფრო სწრაფად მსვლელობისათვის, „Юридическое Обозрѣніе“ იძლევა ერთს რჩევას, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ცოტა არ იყოს, უშველის საქმეთა წარმოების უკედ და სწრაფად სვლასა. საჭიროა, იგი ამბობს, ოლქის სასამართლოებში დაწესდეს ცალკე განყოფილებანი გამიჯვნის საქმეებისათვის. თვითეულს ამისთანა განყოფილებაში უსათუოდ ორი გამიჯვნის წევრი უნდა იყოსო და ერთი სამოქალაქო სამართლისაო. ამ განყოფილებათა უნდა დაუმოკიდებლად იმოქმედონო და იქავ გაარჩიონო საქმეები, საცა საქმენი აღმოჩნდებიანო. ადგილობრივი გასინჯვა მამულისა, გამოძიება, რომელიც თითქმის ყოველ გამიჯვნის საქმეს თანა სდევსო და თვით განაჩენიც საქმისა ადგილობრივ უნდა მოხდესო ერთსავე და იმავე დროსაო.

ეჭვი არ არის, რომ ეს რჩევა პატივცემულის ჟურნალისა თუ განხორციელდა, გამიჯვნის საქმის ყოვნებას და მძიმედ სვლას წამალს დასდებს, ფეხს აუჩქარებს და ცოტად თუ ბევრად ბოლოს მოუღებს იმ სამართლიანს სამდურავს, რომელიც დღეს გამიჯვნის საქმის თაობაზე ჩვენში ყოველ მხრიდამ ისმის.

ახალი ამბავი

⁂ რკინის გზით ჩამოსულებმა ტფილისში გვიამბეს: ვაგონები ავსებით ივსება მოგზაურებითაო; უფრო ბევრი ემატება სურამისა და ხაშურის სადგურებზეო. დასაჯდომი ადგილები რომ აღარ არის ხოლმე პირველის და მეორის კლასის ვაგონებში, ფეხზე დგანან და მიქანცულ-მოქანცულები კედლებზე ეყუდებიან დასასვენებლად; ბარგით ისე ივსება ვაგონები, რომ გასავლელი გზა აღარ არის ხოლმე. უფრო დიდს გაჭირვებას ითმენენ მანდილოსნები და ბაშვები, რომლების დასაძინებლად ერთი ციდა ალაგი აღარ იპოვება ხოლმე, რომ მიაწვინონ და მათს ტირილს და ღნავილს ბოლო მოუღონო. რკინის გზის მთავრობამ უეჭველია იცის, რომ ასეთი სივიწროვეა ხოლმე ამ დროს ვაგონებში, რადგანაც ტფილისიდამ აგა-

ფელეტონი

შთაბეჭდილებანი

(ფშაველების ცხოვრებიდამ)

(დასასრული*)

III

პაპაზე ნაკლებად არც თამარი, პაპას მეუღლე, იყო გათქმული «სიალნით»—სიმართლით, პატიოსნებით. ის იქნებოდა ოთხმოცის წლისა, მაგრამ ისევ რასაც-კი ხელი მიუწვდებოდა, აკეთებდა, ფუთკარივით დაულალავად მუშაობდა. თამარი მოზარე იყო, მაგრამ მოზარეობა ფშაველების ჩვეულებისამებრ იმას არაფერს სარგებლობას არ აძლევდა. მუდამ თვალწინ მიდგა თამარის დალმეჭილი სახე, ცრემლიანი თვალები; ყურებში გამწივის მისი მთრთოლარი, მტირალი ხმა. თამარი ლაპარაკობდა,—ტიროდა, ეძახდა ვისმე, ტიროდა და თუ სატირელზე დადგებოდა, თითონაც ტირილად გადიქცევოდა. უბრალო საუბრის დროს სიტყვის თავზედ ატანდა:

«ვაჰმე გენაცვალე», «ვაჰმე ჩამოგიდნი», «შენამც დაჰსუდრავ თამარსა».

თავზედ თამარს შავი თიკვი ეხურა ჩიქილის მაგივრად და ტანზედ დაჯიგრული კაბა ეცვა, ალაგ-ალაგ ნაკუწებით დაკერებული. ეს კაბა საგარეოდ ჰქონდა დიდი ხნიდამვე შენახული.

თამარმა ბევრი უბედურება გამოიარა; ორი შვილი ჰყვანდა, ორივე საზარელის სიკვდილით დაეხოცა. ერთხელ იმან საქონელი გარეკა წყალზე, მაშინ თამარი ახალგაზდა იყო, საქონელი როდესაც შემოაბრუნა, ცოფიანი მგელი დაედევნა, მგელი ცდილობდა საქონელს დაჰრეოდა, მაგრამ თამარმა ქვებით იგერა დიდხანს; ბოლო დროს მგელმა საქონელს თავი დაანება და სახლისკე გაექანა. სახლის კარი ღია იყო. კერაზე შვიდი წლის ბაშვი იჯდა, შვილი თამარისა, მგელმა დასტაცა ერთ წუთას ბალღს თავი და დაუწყო გლეჯა. თამარი ჩქარა მოჰყვა მგელს უკან, ბალღი წაართო პირიდამ, წაუჭირა ყელში მგელს და დაარჩო. მგლის ჯავრი თუმც ამოიყარა, მაგრამ შვილს-კი ველარაფერი უშველა.

— ვერ გავიგე გაჯავრებულმა როგორ დავარჩე მგელი, შაჰმას უპირობდიო.

ჯერაც არის დარჩომილი თამარის ტირილი მეორე შვილზედ, რომელიც ეგრეთვე საზარლად მოუკვდა. თამარი სახვეტს იყო, შვილი აკვნით ზურგზედ აიკიდა და თან წაიყვანა. ადგილი გვერდალი იყო და აკვნის დადგმა არ შაიძლებოდა, იმან აკვანი ბრძამით *) დააბა. ბრძამმა ვერ გაიმაგრა, აკვანი დაგორდა კლდეზედ. თამარს შვილის ტვინის კრეფა მოუნდა კალთაში. აი მაშინდელი მისი ტირილი შვილზედ:

— სიკვდილო, მოკალ მარჯვეკალი, ჩემი ხოშარას გამთხუები. მე ხოშარასა ვერ ვიქნები, ვაკეს ბალღადში გაზდილი ვარ. ტვინთა ვერა ვკრეფ შვილისათა და ვერა ვზიდავ კალთაითა.

ამ ტირილს მთიულები გვრინვენ **).

IV

30—40 წლებში ფშავში ხმა გავარდა: თამარ მეფე გაცოცხლდა, დადის ხალხში, შესაწირავსა ჰკრეფსო და სხვა და-სხვა. დროება მაშინ იმისთანა იყო, რომ ამ გვარს ხმებს გასავალი ექმნებოდა უმეცარს ხალხში. თამარ დედოფლის სახელით ერთმა ავჭალელმა დედა-კაცმა, ნამოლოზნარმა საკმაოდ ერბო, ყველი და ფული მოაგროვა, მანამ შეუტყობდენ. ეს ცრუ მოლოზანი ესტუმრა ჩვენს თამარს. მაშინ თამარი „მემთე“ იყო, რაც კი ორ თითეს შენახული კარაქი ჰქონდა, აილო და მისცა:

— ვაჰმე, შე ჩემ-თავ-მამკვდარო, თუ შენ თამარ-დედოფალი ხარ; შენთეინ ვინ რას დაჰზოგავსო, თან დაუყოლა.

ამაზედ საცინელი სხვა საქმე მოუხდა. ერთმა შეცდომამ არ გააფთხილა თამარი შემდეგისათვის. ფშავში მთხოვარას, ისეთს მთხოვარას, რომელსაც ეს საქმე ხელობად გაეხადოს, ჯერ დღესაც ვერ იპოვნით, განაღამც წინედ შეგეძლოთ გეპოვნათ. ამიტომ აქ უცხო მოსულს მთხოვარას ძლიერ სიბრალულით ეკიდებიან. მთხოვრების სახელით ერთხელ ფშავის ხევს ბოშები ესტუმრნენ, ისინი, სხვათა შორის, თამართანაც მივიდნენ. თამარმა რაკი ეს ჩამოწეწილ-ჩამოგლეჯილი ხალხი დაინახა, ტირილი მოუვიდა; ის თვალ-ცრემლიანი თავს ევლებოდა ბოშებს და ამბობდა:

— ვაჰმე ჩამოგიდნით, თქვე დამწვრებო, ვაჰმე რა ტიტვლებია, რა საცოდვოებია, თქვენი ჭირიმეთ!

თამარმა გამოიტანა ყველა, რაც ქალობის დროინდელი კაბები და პერანგები ჰქონდა, დახია და ურიგებდა ხორცის ნაჭრებივით ბო-

---

*) იხ. „ივერია“ № 181

*) ბალახია

**) გვრინვა უფრო ტირილსა ჰგავს, მანამ სიმღერას, კილო გვრინვისა ძლიერ მჭმუნვარეა.

ეროვნული

რად გასული ხალხი ბრუნდება სახლობით და ბარგი-ბარხანით, ამიტომ უნდა ვაგონები მოუმატონ ხოლმე, რომ მოგზაურები შეწუხებისაგან დაიხსნან და დაიფარონ. ხშირად ლამფებიცა ჰქრება და ბნელაში სხედან მოგზაურნი; ამ თთვის 17-სა ბათუმიდამ მომავალ მატარებლის ვაგონში ღამე ლამპარი გაჰქრაო მეორე კლასში და ბნელაში ვისხედითო. მე მეგონაო, გვითხრა მოამბემ, რომ ასეთი ვიწროობა მესამე კლასში არ იქნებოდაო, მაგრამ იქ თურმე უფრო უარესობა იყოვო.

⁂ «კონკის» მეჯინიბეების უკაცური საქციელი თავ-ხედობამდინ მიდის; ეს ვაჟ-ბატონები მოეწევიან, თუ შეხვდებიან სოფლელს ბეჩავს გლეხებს, არ შეიძლება, რომ თითოოროლი შოლტი არ გადუჭირონ გვერდებში. 20 მარიამობის თთვეს 25 ნომერზე მჯდარს მეჯინიბეს (27 ნომერიანია). შემოხვდა სასახლის ქუჩაზედ ერთი სოფლელი გლეხი, რომელსაც სახლობა მიჰყავდა ურმით. დაუპირ-და-პირდა თუ არა „კონკა“ ურემს, იშიშელა ამ მეჯინიბემ შოლტი და თუმცა ურემი ერთის საქენის მოშორებით მიდიოდა, მაგრამ მაინც მისწვდა და რამდენჯერმე გადაწნა!! როდესაც იქვე მსხდომებმა უთხრეს:—რადა სცემ უბრალოთ მაგ გლეხსო? „ვამ კაკოი დელო!—ტაკ იხ, ტაკ სლედუეტო.“ უპასუხა ყოვლად უსაქციელო „იზვოშჩიკმა“.

⁂ გარე კახეთში არის სოფელი მუღალნო, რომელიც თათრებით არის დასახლებული. ეს ერთად-ერთი თათრების სოფელი სწორედ ლვთის რისხვად გარდაჰქცევიათ გარე-კახელებსა; მოსვენებას არ აძლევენ ხალხსა ქურდობა-ავაზაკობითა; ჰპარავენ თურმე ცხენებს, კამბეჩებს და სხვა რქოსან საქონელს, ჰპარავენ დღისით-მზისით, მიჰყავთ და ჰყიდიან. ხან მოწყალის თვალითაც გადმოხედვენ ხოლმე გარე-კახელებს: ერთი ქურდთაგანი გამოვა მთხრობლად; თუ ამდენ-ამდენს მომცემთო, ხომ რა კარგი—გიპოვნი დანაკარგსაო, თუ არა და არაო. პატრონიც ჰპირდება და თავის საქონელს იხსნის ფულით ქურდისაგან, რომელიც თან მთხრობელიც არის. როგორც გვიამბეს გარე-კახეთიდამ ჩამოსულებმა, ძრიელ შეწუხებაში თურმე ჰყავთ ქართველობა. შარშან იქამდინ გაუჭირდათ საქმეო, რომ სამი თათარი მოჰკლესო. თუ ამ საქმეს გულის-შემატკივარი არ გამოუჩნდება, შეიძლება საქმე ისრე გამწვავდეს, რომ სისხლი დაიღვაროს და ერთმანერთი ამოსწყვიტონო.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ჭიამ ძალიან უნარი ჰქმნა წელსაო; ხილი ძრიელ წაახდინაო, ფოთლები მოაჭამ და ხეები სრულიად გაროკნაო. ეს ჭია მუხის ხეებზე ბუდობს ტყეებში; უნდა გაფრთხილდნენ და მუხის ფიჩხს რომ ჩამოიტანენ, გასინჯონ, რომ ჭია პარკით არ გამოჰყოლიყოს. მუხის ფიჩხი ღობის ჯალჯად არ უნდა იხმარონ, რომ ხილის ხეებზე არ გავიდეს. ქართლში ამ ჭიას ეძახიან «ბლუნძელას». შენიშნავენ თუ არა ღობეზე, ან ხილზე გაზაფხულის პირშივე გახილვენ ხილებსა და გადაარჩენენ ხოლმე წახდენისაგან. გაზაფხულზევე უნდა გაიხილოს, მინამ გაცოცხლდებოდეს, თორემ მერე ძნელია მისი გაწყვეტაო.

⁂ აგარაზე გასულმა ხალხმა უკვე დაიწყო ტფილისში დაბრუნება. თითქმის ყოველ დღე შეხვდებით ჩვენს თავადებს თავიანთ შვილებით, რომელნიც სასწავლებელში მისაცემად ჩამოუყვანიათ. შეგირდებს თან მოჰყვნენ მასწავლებლები და ამ ჟამად მთელი ტფილისი მასწავლებლებით არის სავსე. დღეს დაიწყეს ეგზამენები 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში. წმ. ნინოს სასწავლებელსა და სათავად-აზნაურო სკოლაში ეგზამენები ჯერ არ დაწყებულა და არც შეგირდები არიან ამ სასწავლებლებისა ქალაქში ჩამოსული.

⁂ არ ვიცით, ნუ თუ ჩვენმა პოლიციის გამგეობამ აქამდე ვერ შეიგნო, რომ ეხლანდელი პოლიციელთა რიცხვი ვერ ასდის მთელს ქალაქს და უნდა მოუმატოს. ათასჯერა ყოფილა საჩივარი ამ საგანზედ ჩვენს გაზეთებში: ამა-და-ამ ალაგას ჩხუბი მოხდა, კაცი დასჭრეს, გაცარცვეს ვილაცა, პოლიციელს უძახეს მთელი საათი, მაგრამ არა სჩანდაო. მაგალითებრ, ამას წინედ ლამის 2—3 საათზედ შვიდი-რვა მთვრალი კაცი მოდიოდა მიხეილის ქუჩაზედ და ერთი კიჟინა და სიცილ-ხარხარი გაჰქონდათ. ამ ქუჩის მცხოვრებნი გამოაღვიძა და დააფეთიანა იმათმა ხარხარმა. ფაეტონს არ გაატარებდნენ ისე, რომ ყიჟინა არ დაეცათ და პოლიციელი კი არსადა სჩანდა.

⁂ იმის გამო, რომ პოლიციელები ცოტანი არიან, ერთს კაცს დიდი მანძილი აქვს მინდობილი სათვალყუროდ, ქურდები მეტად გათამამდნენ და აღარაფერს აღარ ერიდებიან. მაგალითებრ, გაზ. „ნოვ. ობოზ.“ სიტყვით, ექიმს ტერ-გრიქურიანცს, რომელიც ვანქის პირ-და-პირ, მამიკონოვის სახლებში, მეორე სართულში სდგას, ეძინა თურმე დივანზე. დივნის წინ სტოლზე დაუწყვია: საათი, ვერცხლის სათამბაქოე და სხ. წვრილმანი ნივთები. ფანჯრები ღია ყოფილა. ღამის ოთხს საათზე ექიმი რაღაცა ხმაურობას გამოუღვიძებია. უნახავს, რომ სტოლზედ რაღაცა სინათლე ციმციმებს. ვიღაც უცნობს ფანჯრიდგან კავიანი ჯოხი გადუყვია, ჯოხის წვერზე წმინდა სანთელი ყოფილა მიკრული და ამ გვარადა სდომებია ვერცხლის საათის მოპარვა. ექიმს დაუყვირნია და კედელზედ აცოცებული ქურდი გაქცეულა. ამ ქუჩაზედ, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, პოლიციელი არ იყოვო.

⁂ ამ სამის თთვის წინედ ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ცხენის სენით, ქოთაოთი (сапъ) გარდაცვლილა აწიერ კავკასიის რკინის გზის მოხელე დ. კაჟინსკი. ექიმებმა მაშინვე გარდასწყვიტეს, რომ კაჟინსკის ქოთაო თავის ცხენისაგან შეჰყრიაო და ამიტომ ცხენი დახვრიტეს. კაჟინსკის ორს ცხენსაც თვალს ადევნებდნენ, რადგან ეჭვი ჰქონდათ, რომ ამათაც ექმნებათ შეყრილი ქოთაოვო. ერთი ცხენი როგორღაც განსვენებულის მოძრავ ქონების აღწერაში მოჰყოლია და აუქციონით გაუყიდნიათ, მეორეს-კი ამ ბოლოს დროს, სამის თთვის შემდეგ, აშკარად გამოსჩენია ქოთაოთი ავად-მყოფობის ნიშნები და 18 აგვისტოს დაუხვრეტიათ («ნოვ. ობოზ.»)

⁂ დაბა ონიდგანა სწერენ გაზ. „კავკაზს:“ 31 ივლისს. სოფ. ქალაქში მცირე-წლოვან მწყემსებს ა. ჩ სა და ა. ი-ნსა კინკლაობა მოუვიდათ რაღაზედაც. ჩ-ნმა ჯოხი დაარტყა ი-ნსაო; ი-ნმაც წამოავლო ერთ 1½ გირვანქიან ქვასა, გვერდში სთხლიშა თავის მოჩხუბარს და იქვე მიაწვინაო.

ამავე დროს მცირე-წლოვანმა დ-ნმა გაქურდა აფთიაქი—ფულის ყუთი გაეტეხნა და ფულები ამოელო. დამნაშავე ციხეში დაატუსაღეს, მაგრამ ციხიდგანაც ორჯელ მოინდომა თურმე გაპარვა, თუმცა ორჯელვე ვერ აუხდა საწადელიო. ერთხელ ბუხრიდგან აპირობდა აპარვას, მაგრამ შიგ შუა ბუხარში გაჭედილიყო და ძლივსძლივობით ჩამოათრიესო. მეორედ ფანჯრის რკინებ-შუა დარჩენილიყო და ვერც იქით გაეხწია, ვეღარც აქედ გამოსულიყოვო.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც.“ ატყობინებს, რომ ამ დღეებში ჩამოვა ტფილისში 19 ინგლისელი-მლოცავი, რომელნიც ფეხით მიდიან იერუსალემში და უნდათ, რომ მაცხოვარის საფლავს თაყვანი სცენო. ინგლისელები იერუსალემში მისვლამდე, არარატის მთასა ნახავენ და ზედ ავლენო.

ნაკვესი

შემდეგში უმაღლესის ინსტანციისაგან გამართლებულს გ. ჩ..ს რაღაც დანაშაულობისთვის პალატამ გადაუწყვიტა ღირსების აყრა და ციმბირში გაგზავნა.

პალატაში სხდომა რომ გათავდა, გულჩაწყვეტილ გ...ის მიუახლოვდა ერთი მისი მეგობარი დაჰკრა მხარზე ხელი და უთხრა:

— ნეტავი შენ გ....ი, დარდი არაფრისა გაქვსო.

ლელო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საფრანგეთში ჯერ ისევ მოდაშია თურმე სამხედრო მინისტრი გენერალი ბულანჟე. გაზეთებს ცალკე განყოფილება დაუარსებიათ და ამ განყოფილებაში განსაკუთრებით ბულანჟეს შესახებს ამბებსა ჰბეჭდავენ. ერთი სამხატვრო სათოხუნჯო გაზეთიც კი დაარსებულა თურმე, რომელსაც სახელად „La Boulangiste“ ეწოდება. ეს ჟურნალი მინისტრის მტრებს დაუარსებიათ. ამას ცხადად აჩვენებს შიგ დახატული სურათები სამხედრო მინისტრისა: უწვერო გენერალიო, გენერალი წვერითაო, გენერალი ფეხით სიარულის დროსაო, გენერალი უკან ჩამორჩომილიო, გენერალი პაპიროსის მწეველიო, გენერალი ჭაერში ისვრის რევოლვერსაო, გენერალი დუელის შემდეგაო და სხვანი და სხვანი.

მაგრამ მტრებს გარდა, მეტად ერთგულნი მოყვარენიცა ჰყოლია გენერალს.

ავერ რვა დღეზედ მეტია, ამბობს „Моск. Вѣдомости“-ების პარიჟელი კორრესპონდენტი, რაც პარიჟის ბულვარებზედ ბიჭებს დააქვთ ერთი ახირებული წიგნი ბულანჟეზედ და გაჰკივიან რაც ძალი და ღონე აქვთ წიგნის ქებასა. წიგნი კარგად არის დაბეჭდილი და ფერადი სურათებიც კარგად არის დახატული. ერთს უდაზედ გენერალი დახატულია სამხედრო ტანისამოსით, ჰზის შავს ცხენზედ და სალამს აძლევს ხალხს, მეორეზე გენერალი მარტოდ-მარტო ათვალიერებს ჯარებს, რომელნიც ტონკინიდამ დაბრუნებულან. შიგ წიგნში დახატულია სცენები იმის სამარის ცხოვრებიდამ, როცა დაუჭრიათ და სხვ.

შემდეგ კორრესპონდენტი მოგვითხრობს, რა სწერია წიგნში. უპირველესად ყოვლისა წიგნი ქებით მოიხსენიებს ბულანჟეს შეხედულებასა და სახეს: მშვენიერი წვერი აქვსო, საკვირველი ცისფერი თვალები და სურათი ცხვირიო. ნამდვილად კი გენერალს ძალიან გრძელი ცხვირი აქვს, უფრო ებრაულს ცხვირს უგავს, ვიდრე ბერძნულსაო.

მაგრამ ბულანჟე ალაპარაკებს ხალხს, განაგრძობს კორრესპონდენტი, არა მარტო რომელიმე უცნაურის ქცევითაო. ხან და ხან ისეთს საქმეებსაც დაიწყობს ხოლმე, რომ მართლა სასარგებლოა და ღირსია, ყველამ მიჰბაძოს ამ საქმეში გენერალსაო. ბულანჟემ სრულიად შესცვალა მანევრების წესი და სხვა დანიშნულება მისცა ამ ჩვეულებასაო. აქამდე ჯარების საერთო გარჯიშობის დროს ყველამ იცოდა, ვის რა უნდა ექმნა, სად

შებს, ზოგს თავზედ ახვევდა, სხვას ტანს უფარავდა.

— სადიურები ხართ, სადიურები, თქვე ჩემ თავ მამკვდრებო?!.

ბოშები ცბიერად „ჯიუჯიუებდნენ“, ერთმა მკითხაობა დაიწყო, სხვანი სახლში შეიპარნენ და გაჰქურდეს. ბოშებს უხაროდათ, რომ ოხერი გულ-კეთილი იპოვნეს. შესაბრალისი იყო მაშინ თამარი. ვის არ შეაბრალებს მგლის პირში ბატკანი? თამარს აღარაფერი დარჩა საცხოვრებლად, მაგრამ თავის გულის-თქმას მაინც არ ღალატობდა; იგი სატირლად ორი დღის სავალზე წავიდოდა, წამოიკიდებდა მელუტს გუდას, ჩაიგდებდა შიგ ხმიადს, ჩარეჭა არაყს, დაიბჯენდა ჯოხს და გასწევდა. ხმიადის და არაყის უქონლობაც არ დაუშლიდა იმას სატირლად სიარულს. მიცვალებული თუნდ ნაცნობი და ნათესავი ყოფილიყო, თუნდ უცნობი, მაინც და მაინც იტირებდა.

— „თამარი მოვიდაო“, იტყოდნენ მოზარენი და მიაპყრობდნენ თვალებს.

როდესაც თამარი ტიროდა, უსულო საგნებიც კი ბანს ეუბნებოდნენ, იქ რაც უნდა გულ-მაგარი კაცი ყოფილიყო, თამარის კვნესა მაინც ააკვნესებდა მის გაქვავებულს გულს და ძალა-უნებურად აატირებდა. თამარს მუდამ ჰქონდა გამოკრული ჩიქილის ტოტში თხილი, სადაც კი პატარა მწყემსებს შაჰხედებოდა, დაიჭერდა და ჰკოცნიდა განიქებით, თანა ჰკითხავდა:

— ვისი ხარ, გენაცვალოს თამარი, შვილო, ვისი, ვენაცვალე შენს ყინჩთ თვალთა!

V

პაპა და თამარი კარგა ხანია მას შემდეგ, რაც დაიხოცნენ. ისინი ასაფლავიან გვერდ-გვერდ. საფლავის ქვა არც ერთს იმათგანს არ აძევს. მათ საფლავის ქვაზე წანაწერი ანწლია. მომხსენებელი იმათ არავინ დარჩათ. ათასში ერთხელ, აღდგომა დღეს, ნაცნობთაგანი თუ ვინმე მიიტანს იმათ საფლავზე ტაბლას. მე მათის საფლავის დანახვისთანავე მუხლს ვიყრი და ვამბობ:

— მშვიდობა თქვენს სარეცელს, პატიოსანნო კაცნო! რათა? იმიტომ რომ იმათ ტირილი შაეძლოთ.

გაგა-ფშაველა

შარდენი საქართველოში

(შემდეგი*)

VII

25-ს, დილით, მამა იუსტინე შეუდგა თავის გზას, ხოლო მე გავემგზავრე ტფილისისაკენ. 26-ს, შუადღის უკან, მე და კაპუცინი, რომელიც გამომატანა გორელ კაპუცინების წინამძღვარმა, რადგან არ უნდოდა მარტო გამოვეშვი, მივედით, ღვთის მადლით, ტფილისს.

თებერვლის 6-ს, სალამოზედ, მოვიდა თბილისში ჩემი ამხანაგი. მას მოჰყვნენ თან ჩემი მსახური, რომელიც კოლხიდაში დავტოვე, ერთი მ. ტეატინი და ანჟი. როდესაც ყველას მივესალმე, ანჟმა გამიხმო ცალკე და მიამბო თავის თავ-გადასავალი. თქვენ იცით უკვე, მითხრა იმან, რომ თქვენის მუხთალის მსახურის წყალობით იანიჩარებმა შემიპყრეს. იანიჩარები ქუთაისის ციხის თავს მიეცა იმისთვის. მსახურს თქვენზედ ციხის თავისთვის ეთქვა, ჩემი სამასი ეკიუ ჰმართებსო; ის ელჩიაო; ეხლა სამეგრელოში მიდის დიდის სიმდიდრის გამოსატანად, რომელიც იმან იქ დაუტევა და, თუ მას ჩაიგდებ ხელში, სამუდამოდ გამდიდრდებიო. ის უკეთური ძალას ატანდა იანიჩარებს, რომლებსაც ციხეში მივყვანდით, რომ შევეკარით და ცუდად მომპყრობოდნენ, მაგრამ ისინი პირ-იქით პატივსა მცემდნენ. იმათში ერია ერთი გადამდგარი იტალიანელი, რომელიც ძრიელ ტკბილად მექცეოდა. მე რაც შემეძლო, ნელნელა მივდიოდი და ლაპარაკში ვართობდი იმ უკეთურებს, რომ თქვენის ამხანაგისათვის მიმეცა დრო გაქცეულიყო, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ის გაქცევას მოიწადინებდა. როდესაც მიმიყვანეს ციხის-თავთან, ჰკითხა თქვენ მსახურს: ეს არის შენი ბატონიო? მსახურმა მიუგო: ის ვერ ვიპოვე, მაგრამ ამას უსათუოდ ეცოდინება იმისი ბინაო. ციხის-თავმა მერმე მე მკითხა. მე მიუგე, რომ ეხლა სად არის, არ ვიცი; როცა მე წამომიყვანეს, ის ტფილისშივე აპირებდა-მეთქი წასვლას. ციხის-თავმა ბევრი რამ გამომკითხა თქვენ ვინაობაზედ და ბოლოს მითხრა: შენ უნდა მისცე ამას სამასი ეკიუ, რომელიც იმას ჰმართებიაო. მე მივუგე, რომ ის ერთი საწყალი ბერია, წამოსულიყო-მეთქი, რომ ჩემთვის ეცნობებინა, რა გაჭირებაში არიან სამეგრელოში მყოფი ბერები. მე, გაიგე თუ არა, წამოვედი ბერების საშველად. იმ კაცს მხოლოდ ესე ვიცნობ-მეთქი. მე ფულები არა მაქვს; ქუთაისში ყველამ, მეფიდამ დაწყობილი მის უკანასკნელს მსახურამდინ, იცის, რომ სიგლახაკის აღთქმა მაქვს-მეთქი მიცემული.

ციხის-თავმა ბრძანა გავეჩხრიკეთით. მინახეს სარტყელი, რომელიც თქვენ მომეცით; იმაში რამდენიმე ათი პისტოლი კიდევ იყო. იმის მეტი არა მქონდა-რა. ღვთის განგება იყო, თუ სხვა რაღაც, თქვენმა ამხანაგმა არ

---

*) იხილე „ივერია“ № 177.

მისულიყო, სად იერიში მიეტანა და სხვანიო, ახლა კი არავინ იცის, რა უნდა ჰქმნას ჯარმა მანევრების დროსაო. მხოლოდ შტაბსა აქვს დაწვრილებით შედგენილი წესები მანევრებისა. აქედამ ეგზავნება დაბეჭდილი წიგნი მანევრების წინა დღეს კორპუსის ან დივიზიის უფროსს: შენ იერიში მიიტანე და დაიპყრე ესა და ეს სიმაგრენიო. მეორე წიგნი მიუვა მეორესა: შენ ესა და ეს სიმაგრე უნდა დაიცვაო...

ცხადია, რომ ამ ნაირს მანევრებს დიდი მნიშვნელობა აქვსო. გენერალს ადვილად შეუძლიან შეიტყოს, რამდენად მოხერხებული ჰყავს ან შტაბი და ან ჯარების უფროსებიო.

⁂

ვსთქვათ, გენერალი იმის გენერალია, რომ ჯარი ამზადოს ომისა და ბრძოლისათვის, ვსთქვათ სამხედრო მინისტრს საფრანგეთისას მტერიცა ჰყავს და ამ მტრისათვის ჰმართავს ასეთს მანევრებსა, მაგრამ ეს ქალები რაღა მანევრებსა ჰმართავენ, ან ვის უნდა ეომონ. მთელის ქვეყნის ქალებს შეუდგენიათ საზოგადოება, დაუწერიათ საჩივარი და ახლა ხელს თურმე აწერენ ამ საჩივარზე წარსადგენად ამა სოფლის ძლიერთა წინაშე. საჩივარზე ხელის მოწერას წევრნი მსოფლიო საქალო საზოგადოებისანი მოუნდებიან ხუთის წლის განმავლობაშიო, მერე წარუდგენენ ყოველის ქვეყნის მთავრობასაო და მოსთხოვენ დახმარებას მამა-კაცთა წინააღმდეგ. თურმე ქალებს განუზრახავთ ბრძოლა, ბრძოლა შეუპოვარი, შენივთებული და ძლიერი ლოთობის წინააღმდეგ. აი თურმე რა სწერია საჩივარში:

> პატივცემულნო ქვეყნის გამგებელნო, წარმომადგენელნო და ძმანო! ჩვენ, მომჩივანნი, თუმცა ხორცით სუსტის სქესისანი ვართ, გულით ძლიერნი გაუჩენივართ ღმერთსა. ჩვენ ძლიერნი ვართ იმითი, რომ მეტად გვიყვარს კერა ოჯახისა, სამშობლო ქვეყანა და მსოფლიო ოჯახი ერთა. ჩვენ ვიცით რომ თუ აზრი და გონება მამა-კაცთა განწმენდილია და ნათელი,—გული მათი ჩჩვილი, ოჯახი ბედნიერი, ქვეყანა კეთილ-დღეობაშია და კაცთა-შორის ჰსუფევს მშვიდობა, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ სხვა-და-სხვა მაგარი, სპირტ-ნარევი სასმელები და ხაშიში აბნელებენ კაცის ტვინსა და გონებას, უბედურება მოაქვთ მთელის ქვეყნისათვის, ხოლო უწინარესს ყოვლისა ჩვენთვისა და ჩვენის შვილებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ეს დასათრობელი და გონების დამბნელებელი სასმელები ისყიდება კანონის ნებადართვითა. ჩვენ არ შეგვიძლიან და არც გვეხელეწიფების ავიცილოთ თავიდამ ეს დიდი ბოროტება, ქვეყნის დამაქცეველი, ხოლო თქვენ-კი შეგიძლიანთ აჰკვეთოთ ლოთობა ყველგან და თქვენც მოიშოროთ სამარცხვინო ლაქა ამ საქმეში თანაზიარობისა. ამისათვის მუდარებით მოგმართავთ თქვენ, როგორც წარმომადგენელნი ქალნი მთელის განათლებულის ქვეყნისანი და გთხოვთ და გეაჯებით, მოსპოთ გაჭრობა სასმელებისა და ხაშიშისა და ნულარ გაუწევთ მფარველობას ამ საქმეს თქვენის კანონებითა. გთხოვთ და გეაჯებით მფარველ ექმნათ ჩვენთა ოჯახთა და განკურნოთ სრულიად ამ ორის წყლულისაგან ყველა ქვეყნები, რომელთ გამგეობაც კი თქვენ გეკითხებათ და თქვენ გეხელეწიფებათო.

კარგი ქალები ყოფილან ეს ქალები მე და ჩემმა ღმერთმა, თუმცა გვგონია კი, რომ ჩვენი ქალები იმათ მხარეს არ დაიჭერენ, რადგან ჩვენს ქალებს ძალიან უყვართ თავიანთი მამული და ჩვენის მამულის სახელი და დიდება ხომ მხოლოდ ქეიფია და კახური ღვინო!

უცხოეთი

ბოლგარია. სოფიაში დეპეშების მიწერ-მოწერა შემდგარი იყო და ამისგამო სწორე ამბავი ვერ გაიგეს გაზეთებმა იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა ალექსანდრე მთავრის შეპყრობა. დღეს ტელეგრაფი კვლავ გაუმართავთ სოფიაში და დაწვრილებით შევიტყეთო,—ამბობს «Новости»,—ბოლგარიის მთავრის შეპყრობის ამბებიო.

ღამის ორ საათზე კუსტენდილის პოლკის ბატალიონი და ორი როტა სოფიის სამხედრო სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსულან თავიანთ სადგურიდამ და შემოარტყმიან სასახლეს; სასახლის ყველა შესავალ-გასავალი დაუჭერიათ. სახლის მოსამსახურეებს შემოსმენიათ ქუჩიდამ ხმაურობა, ღრიალი; შენიშნეს, რომ სასახლეს ჯარი შემოარტყეს და მთავრის ძმას გაეღვიძა, რომელიც გამოვიდა გარედ ჯართან და ყვედრება დაუწყოო. ამ დროს მთავარსაც გამოჰღვიძებია და გამოვარდნილა გარედ. მისულა მასთან გრუევი; შესულან სასახლეში და აქ გრუევს უთქვამს, ხელი მოაწერეთ ტახტის უარყოფის ოქმზედაო. წინაპირველად ალექსანდრე მთავარს უარი განუცხადებია, მაგრამ გრუევს მაგრად დაუწყვია ლაპარაკი და უთქვამს, მთელი ჯარი თქვენი წინააღმდეგია და თხოულობს, რომ უთუოდ თავი დაანებოთ ტახტსაო.

როდესაც ალექსანდრე მთავარი ფანჯარასთან იდგა, ძალიან აღელვებული იყო; მინას მიადო თავი და ათვალიერებდა ჯარსა. როდესაც შემოესმა ხმა: „აღარ გვინდა მთავარი ალექსანდრე! ჩამოაგდეთ მთავარი ტახტიდამაო!“ მაშინ ალექსანდრე შეძრწუნდაო და უთხრა გრუევსა: «კარგი, მოვაწერ უარ-ყოფის ქაღალდზე ხელსაო.» სთქვა ეს, გავიდა საწოლს ოთახში, ტანთ ჩაიცვა, გამოვიდა გრუევთან და მოაწერა ხელიო.

მთავარს, ხელის მოწერის შემდეგ, გამოუცხადეს, რომ ეხლავე უნდა გახვიდეთ სოფიიდამაო; თანახმა გახდა და სთხოვა, რომ ჩემი ძმაც ჩემთან იყოსო. შემდეგ ამისა მთავარი და მისი ძმა ყარაულს ქვეშ წაიყვანეს სამხედრო სამინისტროს სადგომში. აქ იმათთვის ორი ეტლი დაემზადებინათ. სწორედ ოთხის ნახევარზე, შუაღამის უკან, მთავარი და მისი ძმა ჩასხეს ცალ-ცალკე ეტლებში და გაისტუმრეს რუშჩუკისაკენ. თითოს ორ-ორი აფიცერი ჩაუსვეს ეტლში და უკან ცხენოსანი ჯარის ყარაული გაადევნეს. აფიცრები გზაზე ერთობ თავაზიანად თურმე ეპყრობოდნენ.

კუსტენდილის ჯარის-კაცნი სამხედრო სამინისტროს შემოარტყეს და იქიდამ არავის არ უშვებდნენ. ხუთის ნახევარზე მობძანდა საკრებულო ეკლესიაში მიტროპოლიტი კლიმენტი და სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, რომ ასე მშვიდობიანად ჩაიარა ამ საქმემაო.

— ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილია პროკლამაცია დროებითის მართებლობისა; პროკლამაციაზე მიტროპოლიტ კლიმენტის უწერია ხელი:

„პრინცმა ალექსანდრე ბატენბერგმა თავი დაანება ბოლგარიის ტახტსა და ხელი მოაწერა უარ-ყოფის ქაღალდზე, რადგანაც დარწმუნდა, რომ მისი მთავრობა მავნებელი შეიქმნა ბოლგარიის ერისათვის. ამ უჩვეულობრივო საქმეებისა გამო დაწესდა დროებითი მართებლობა იმ დრომდე, მინამ საერო კრება გარდასწყვეტდეს რასმესა. დროებითი მთავრობა დაიცავს სიცოცხლეს, ქონებას და პატივს როგორც ბოლგარიის ერისას, ისე უცხო ქვეყნელთა; ყველა ბოლგარიის მოქალაქენი, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და პოლიტიკურის დასებისა, იმედია, შეეწევიან მართებლობას, რომ წესი და რიგი ბოლგარიაში არ შეირყეს. ბოლგარიის ერი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დიდი იმპერატორი სრულიად რუსეთისა, მფარველი ბოლგარიისა, არ დასტოვებს ჩვენს ქვეყანას და აღმოუჩენს ძლიერს მფარველობასა. გაუმარჯოს ბოლგარიის ერსა!.“

— „Temps“ სწერენ: «ჩვენ ვსთქვით, რომ ბოლგარიაში მომხდარი აღელვება ევროპის მშვიდობიანობას არ შეარყევსო; მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ეს ამბავი უმნიშვნელოდ არ გაივლის და ასეთს, თუ ისეთს ზედ-მოქმედებას იქონიებს დიდს სახელმწიფოებზე. ინგლისისათვის კი ეს ამბავი დიდად საგრძნობელია; ტყვიასავით მოხვდა გულში, და თუმცა გვგონია, რომ ინგლისი, როგორც მოითხოვს მისი დიდება და სახელი, ისე ვერ გასცემს პასუხსა, მაგრამ ლორდი სალისბერი ვერ მოითმენს ამისთანა დამარცხებას,—თუ შეიძლება ამას მარცხი ვუწოდოთ,—და ვერ შეურიგდება უფრო ეხლაო, რადგანაც ეს ამბავი მოხდა მისის მინისტრობის პირველსავე ხანებშიო. ამ დღეებში ლაპარაკობდნენ, რომ საუცხოვო განწყობილება აქვს სალისბერს ბერლინის მართებლობასთანაო. რა უნდა ეთქვას იმისთანა საუცხოვო განწყობილებას, თუ ბისმარკი არ მოახერხებს, რომ თავის მოკავშირეს თავიდამ ააცილოს ასეთი შეურაცხ-ყოფაო? ესევე უნდა ვსთქვათ ავსტრიაზედაც.

— ოფიციალური გაზეთი ავსტრიის გარეშე საქმეთა სამინისტროსი „Fremdenblatt“-ი ამბობს: «გაზეთებში იმპერატორთა ერთმანერთის ნახვის შემდეგ ევროპაში სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ანაზდეულად შეარყია ბოლგარიამ. როგორ მოხდა, რომ ალექსანდრე მთავარი შეიპყრო იმ ჯარმა, რომელსაც სახელი და დიდება მოუპოვა და ერთი ქომაგიც არ გამოუჩნდა—ეს ჯერ გამოურკვეველიაო. საქმე ისე უეცრად, მოულოდნელად მოხდა, რომ აქ უთუოდ ვიღაცის ხელი ურევია, ხელი მტრისა, რომელმაც შეამზადა და მოასწრაფა ეს საქმეო. ალექსანდრე მთავრის გაძევებამ ევროპა გააოცა, მაგრამ იმ სახელმწიფოთა, რომელთაც ინტერესი აქვთ და მუშტრის თვალით გადასცქერიან ბალკანის ნახევარ-კუნძულს, არ გაოცებიათ ეს ამბავი. ეს ამბავი ისე ჩაივლის, როგორც რუმელიის საქმე, რომელსაც ხელი წასჭიდა ალექსანდრე მთავარმა და ბოლგარიას შემოუერთა. არც მაშინ და არც ეხლა ევროპის მშვიდობიანობას შიში არ აქვს-რა. ოსმალეთი არც ავად და არც კარგად არ ერევა ბოლგარიის საქმეებში, და ეს ფრიად საჭიროა, რომ ბალკანებზე მშვიდობიანობა არ შეირყეს. გაიგო თუ არა ოსმალეთმა, მაშინვე დიდთა სახელმწიფოთ შეატყობინა, თქვენ რას ჰფიქრობთ, და რა აზრისანი ხართ ბოლგარიის საქმეზეო.

გასართობი

ფუტკრები ავდარის მოახლოვებას ჰგრძნობენ. „Chronique industrielle“-ში სწერია: პროფესორ ემმერინგის გამოკვლევით სჩანს, რომ ფუტკრები ავდარისა და ელვა-ქუხილის მოახლოვებას ადრევე ჰგრძნობენო. ემმერინგს უთქვამს, ყოველთვის მშვიდი ფუტკრები ელვა-ქუხილის წინედ ჰკბენენ ყველას, ვინც კი შეხვდებათო. ბევრი ხანი ვადევნე ამას თვალ-ყური და დავრწმუნდი, რომ მართლაც ფუტკრები ჰგრძნობენ ელვა-ქუხილისა და ავდრის მოახლოვებასაო. ბევრჯელ მინახავს, რომ ბუნება დაწყნარებული ყოფილა, ცა მოწმენდილი, ფუტკრები არეულან, ყველას კბენა დაუწყიათ და რამდენისამე ხნის შემდეგ ცა მოღრუბლულა და ჭექა-ქუხილი დაუწყვიათ. ხშირად მოხდებოდა, რომ ბარომეტრის ჩვენებით ავდარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფუტკრები მშვიდობიანად იყვნენ და მართლაც ცა არ იღრუბლებოდა. დასასრულ, პატივცემულს პროფესორს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ფუტკრები უფრო სწორედ ატყობინებენ ადამიანს, ვიდრე ბარომეტრი.

მომცა შესანახად არაფითარი ძვირფასი ქვები, თუმცა თქვენა სწერდით, რომ ჩემთვისაც მოებარებინა. ციხის-თავმა, როდესაც ნახა ასე ცოტა ფული, უთხრა თქვენს მსახურს: სად არის ის სიმდიდრე, რომელზედაც შენ მეუბნებოდი? იმიტომ მოიყვანე აქ ეს საწყალი კაცი, რომ სასაცილოდ გაგეხადნე? შენ ავაზაკი ყოფილხარ; ჯოხის ცემით მოგაკვლევინებო. ბატონო, მიუგო იმან თრთოლით, ის სიმდიდრე ჩემის ბატონის ამხანაგსა აქვს, გენათელისას არის ეხლა.

— შე ძაღლო, შეუტია ციხის-თავმა, რატომ ის არ მომიყვანე აქა?

ციხის-თავმა გამოგზავნა, გამოატანა იანიჩარები, რომლებმაც ციხეში მიმიყვანეს, და უბრძანა, რომ თქვენი ამხანაგი მიეყვანათ. ადვილი წარმოსადგენია, რა შიშში ვიყავი, ვაი თუ დაიჭირონ-მეთქი. შიში დიდ სიხარულად შემეცვალა, როდესაც დაბრუნდნენ იანიჩარები და მოახსენეს ციხის-თავს: ის კაცი იქიდამ გაქცეულაო. მაშინ ციხის-თავი გაუწყრა მსახურს. ის უკეთური შიშმა და ჯავრმა შეიპყრო, როცა მიხვდა, რამდენად დაუბნევია მას ღმერთმა გონება; რატომ მაშინვე არ წავაყვანინე ჩემი ბატონის ამხანაგი და არ წავაღებინე ყველაფერი, რაც ჰქონდაო, ამბობდა მგონი ის თავის გულში. შემდეგ ვუამბე ციხის-თავს, რამდენი ხიფათი მოგვეყენა, როგორ პატიოსნად და კარგად მოვეპყარით, როდესაც ჯამაგირში გავუსწორდით.

სალამოზე ციხის-თავმა ვახშამი თავისთან მაჭამა. გეგო, რომ ექიმი ვიყავი და შემომჩივლა, შეუძლოთ ვარო. მე ვუწამლე მას; აგრეთვე ვუწამლე რამდენსამე მეციხოვნეს. მცველად ერთი იტალიელი განდგომილი მომიჩინა. თქვენი მსახური ეუბნებოდა ჩემზედ: ბორკილი შეუყარეთ, რომ არ გაიქცესო. ის უკეთური ათას რასმე იგონებდა, რომ ცუდად მომპყრობოდნენ.

მეორე დღეს დედოფალმა და გენათელმა მოჰგზავნეს ციხის-თავთან ორი კეთილ-შობილი და მოითხოვეს გავენთავისუფლებინე, რადგანაც მე ვიყავი როგორც მათი, აგრეთვე მეფის ექიმი. შუადღისას კიდევ მოვიდა იქაურის დიდის თავადისაგან გამოგზავნილი ორი კაცი; თავადის ცოლი ძლიერ ავად გამხდარიყო. შეუთვალეს ვალის გულისთვის არის დაპატიმრებულიო. კიდევ გამოგზავნა ციხის-თავთან კაცი; ეხვეწებოდა, რომ გამოუშვი და ჰპირდებოდა, რომ მაგის ვალს მე მოგცემო. ცხადი იყო, რასაკვირველია, რომ მე არაფერი არ მემართა. ციხის-თავს მაინც შეჰპირდნენ ოც-და-ხუთ ეკიუს. ამ პირობით გამიშვეს, თუმცა თქვენი მსახური ბევრს ჰყვიროდა და ეუბნებოდა ციხის-თავს: ნუ გაანთავისუფლებთ, ჩემი ბატონი თუნდ ათას ეკიუს მოგცემსთ და მაგას კი აქ არ დასტოვებსო. მიმიყვანეს თავადისას, რომელმაც გამომაშვებინა. იქიდამ კაცი გავგზავნე ჩიკარისში თქვენის ამბის გასაგებად. გავიგე, რომ თქვენ ტფილისში დაბრუნებულიყავით და თქვენი ამხანაგი კი სამეგრელოშივე წასულიყო.

რამდენისამე დღის შემდეგ მ. იუსტინეც მოსულიყო ჩიკარისში; გაიგო, საცა ვიყავ და მოვიდა ჩემ სანახავად. თქვენის ფულიდამ მივეცით 25 ეკიუ. გამანთავისუფლეს ტყვეობიდამ და დავბრუნდით ჩიკარისშივე. ორის დღის შემდეგ თქვენი ამხანაგიც მოვიდა იქ და მოიტანა ყველაფერი, რაც დაგრჩომოდათ სამეგრელოში. გვიამბო, რა გზა აერჩია, რომ ქუთაისს ასცდენოდა. ის ნავით გამოსულიყო რიონში, ქუთაისიდამ ექვსს ეჯზედ მენავეებს ემბნათ იმისთვის, რომ თქვენს ბოროტს მსახურს, რომელმაც ამდენი ხიფათი შეგვამთხვია, მიეცა იმათთვის ორი ეკიუ და შეჰხვეწნოდა, მაცნობეთ, როდესაც წყალს გადიოდესო. ის თურმე ოთხს იანიჩარსა ჰყავს ჩაბარებული და ციხის-თავისაგან ნაბძანები აქვსთ, არ გაუშვონ. ეხლა ჰხედავ, დაუმატა იმან, რომ ყველაფერი კარგად გათავდა და ღმერთმა ხელი არ მოუმართა უკეთურს, რომ სიბოროტე ჩაედინა. მისი მართლ-მსაჯულება, უეჭველია, არ მისცემს შეძლებას დაუსჯელად დაახწიოს თავი ოსმალოს ციხის-თავის ხელიდამ.

ღამე გატყდა, მაგრამ მე და ჩემმა ამხანაგმა მაინც ვერ ვიძინეთ, სანამ კარგად არ მოვილაპარაკეთ ჩვენის საქმის კარგად გათავებაზედ და ყველა იმ განსაცდელზე, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი გვინახეთ, და სანამ არ შევსწირეთ ღმერთს მადლობა მხურვალე ლოცვაში მის განუსაზღვრელს მოწყალებათათვის, შემწეობისათვის და სასწაულებრივის გამოხსნისათვის. როდესაც გაჭირებაში ვიყავით, არ მოველოდით, თუ საქმე ამ ნაირად გათავდებოდა. მართლაც როგორ ვიფიქრებდით, თუ სუყველაფერი გადაგვირჩებოდა, რადგანაც ყოველ მხრივ განსაცდელში ვიყავით; შემდეგში მოვიგონეთ, რაც დაგვკარგოდა ამ უბედურს მოგზაურობის დროს და აღმოჩნდა, რომ დაგვეკარგა მხოლოდ ერთი მესამედი იმ საქონლისა, რაც შევკრიბოდა და ჩამოგვეტანა ტფილისში.

ვ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი გერმანიის სტუდენტებისა. გერმანიაში სულ ოცი უნივერსიტეტია. ამ უნივერსიტეტებში სულ 28,000 სტუდენტია. ამ უკანასკნელს ხუთს წელიწადში სტუდენტების რიცხვს 8,000 მომატებია. ყველაზედ ბევრი სტუდენტები—4,434 ბერლინის უნივერსიტეტში არიან; ლეიპციგში 3,000 სტუდენტია, მიუნჰენში—3,935; ყველაზედ ცოტა სტუდენტები არიან კილასა და როსტოკში.

დიდი სამკვიდრო. პარიჟში ამ ერთის თვის წინად უეცრად გარდაიცვალა ერთი დიდის შეძლების პატრონი. სწორედ იმ დღეს, რა დღესაც იმისი ერთად-ერთი ქალი ჯვარს იწერდა. ქორწინება, რასაკვირველია, გადასდეს. ექვსის დღის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა ამ ქალის დედა, რომელიც აქამდე ძალიან ჯან-საღად იყო თურმე. სასიძოს თავისი საცოლე წაუყვანია თავის გათხოვილ დასთან. 10 აგვისტოს დანიშნულები ერთად სეირნობდნენ თურმე და ყმაწვილ-კაცმა სთქვა, რომ: ნეტა როდის იქნება ჯვარი დავიწეროთო, გველირსება-ღა როდისმეო. ქალი ალერსიანად მიეყრდნო თურმე მხარზედ და ტკბილის ხმით უთხრა: მეც მოუთმენლად მოველი მაგ წამსაო. მე მინდა, რომ ჩვენ ბედნიერები ვიყვნეთო, რომ არც ფული გვაკლდეს და არც სხვა რამეო და ამ აზრით ჩემი მშობლები მოვწამლეო. ვაჟმა არ დაუჯერა, მაგრამ როდესაც ქალს დაწვრილებით უამბნია, როგორ მოუწამლავს მშობლები, მაშინ-კი დარწმუნებულა. იმავე ღამეს საბრალო ყმაწვილ-კაცს შეუტყობინებია სასამართლოსათვის ეს ამბავი. ამ ქალის მშობლების გვამი ამოუღიათ საფლავიდგან, გაუსინჯავთ და აღმოჩენილა, რომ მართლაც საწამლავს დაუხოცნია. ამ ჟამად ჰენრიეტტა ბრუონი დატუსაღებულია თურმე.

დეპეშა

20 აგვისტოს

ფრანცენსბადი. დღეს შუადღისას აქაურს რუსულს ეკკლესიაში დიდის ამბითა და ყოფით დაუწერიათ ჯვარი რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის გირსის ქალსა და ბ-ნს როზეტტის: ჯვარის-წერას დასწრებია წარმომადგენელი ხელმწიფე იმპერატორისა და რუმინიის კოროლისა.

სოფია. ალექსანდრე მთავარი მიბრძანდა ფილიპოპოლს. სოფიაში, გვონებთ, პარასკევს საღამოს მობრძანდება.

ბუქარესტი. ვინც აქ პოლიტიკურის მიზეზების გამო იმყოფება, იმათ ეცნობათ ბოლგარიიდამ, რომ შეუძლიანთ იცხოვრონ სადაც უნდათ, დუნაიის ნაპირის თემებ გარდა. ეს განკარგულება იმიტომ მოგვხდინეთო, რომ რუმინიას ნეიტრალიტეტი უჭირავს ბოლგარიის მიმართ და ბოლგარიაში მომხდარის ამბების გამო მეგობრობის მეტი არა გამოუცხადებია-რაო.

გუშინ საღამოთი მოვიდა აქ ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრი.

21 აგვისტოს

პეტერბურგი. რუსეთის საელჩოს გამგებელმა რუშჩუკში გაუგზავნა გარეშე საქმეთა სამინისტროს 18-ს აგვისტოს ალექსანდრე მთავრისაგან მიღებული შემდეგი დეპეშა ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე: „თქვენო უდიდებულესობავ, მიიღე რა კვალად გამგეობა ჩემის ქვეყნისა, ვბედავ განვუცხადო თქვენს უდიდებულესობას მოწიწებით აღსავსე მადლობა, რადგანაც თქვენის უდიდებულესობის წარმომადგენელმა რუშჩუკში, როცა იგი ოფიციალურად დაესწრო ჩემის დაბრუნების დროს, აგრძნობინა ბოლგარიის ერსა, რომ საიმპერატორო მთავრობას არ მოსწონებია ჩემს წინააღმდეგ მიმართული სარევოლიუციო მოქმედება. ამავე დროს ვითხოვ ნებას, რათა კვლავ მოვახსენო მადლობა თქვენს უდიდებულესობას გენერალის თავადის დოლგორუკოვის გამოგზავნისათვის, რომელსაც თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის მიერ განსაკუთრებული მინდობილობა აქვს. რადგანაც მივიღე კვლავ კანონიერი ხელმწიფება, ჩემს მოვალეობად ვრაცხ მოვახსენო თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას, რომ მე მტკიცე სურვილი მაქვს ყოველივე მსხვერპლი ვიტვირთო, რათა შევასრულო განზრახვანი თქვენის იმპერატორებითის სულგრძელობისანი და დავიხსნა ბოლგარი იმ მძიმე განსაცდელისაგან, რომელშიაც დღეს იმყოფება, და ამისათვის ვსთხოვ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას ნება უბოძოთ თავადს დოლგორუკოვს, რაც შეიძლება დაუყოვნებლივვე მომელაპარაკოს ერთმანერთთან დასათანხმებლად. მე ბედნიერი ვიქნები, უკეთუ დავუმტკიცებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას ჩემს უცვალებელს ერთგულებას. განთქმულმა დედა-აზრმა მაიძულა აღმედგინა კანონიერება ბოლგარიასა და რუმელიაში. რუსეთმა მომანიჭა მე გვირგვინი და მზადა ვარ ეს გვირგვინი რუსეთისავე ხელმწიფეს ჩავაბარო.

ამ დეპეშაზე მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და შემდეგი პასუხი შეუთვალა დეპეშითვე: «მის უმაღლესობას, მთავარს ბოლგარიისას, ფილიპოპოლს. მივიღე დეპეშა თქვენის უმაღლესობისა; მე არ შემიძლიან მოვიწონო თქვენი დაბრუნება ბოლგარიაში. წინადვე ვხედავ, რა უბედურობა მოელის ბოლგარიას, რომელიც უკვე მძიმე განსაცდელშია, და ამიტომ მოციქულობა თავადის დოლგორუკისა წინასწარად მიმაჩნია. მე ვეცდები არავითარი მონაწილეობა არ მივიღო იმ საქმეთა სამწუხარო მსვლელობაში, რომლისაგანაც დღეს ბოლგარია შეწუხებულია. ვიდრე თქვენ მანდა ბრძანდებით, თქვენმა უმაღლესობამ უნდა გადასწყვიტოს, როგორ იმოქმედოთ. ხოლო რასაც მავალებს მე პატივისცემა ჩემის მშობლის სახელისა, სარგებლობა რუსეთისა და მშვიდობიანობა აღმოსავლეთისა, ეგ საკუთრივ ჩემი განსასჯელი საქმე იქნება.

სამხედრო მინისტრი გუშინ დაბრუნდა პეტერბურგს.

ვენიდამ მიღებულის ცნობებიდამ სჩანს, რომ მომეტებულს ნაწილს ბოლგარიის ჯარებისას განეზრახა თოფ-იარაღით წინააღმდეგობა გაეწია რუმელიის მილიციისათვის, რომელიც სოფიისკენ მიდიოდა წესიერების აღსადგენადაო. ამბობენ, ვითომ ოთხშაბათს ერთმანერთს მისევიან კიდეც ბოლგარიისა და რუმელიის ჯარებიო.

ელენა. «ჰავასის სააგენტო» გვაუწყებს, რომ პოდპოლკოვნიკი მუტკაროვი, მთავრის მომხრე რუმელიის ექვსის რაზმით სოფიაში მისულა და შეუპყრია დასამწყვდევად მიტროპოლიტი კლიმენტი, კარაველოვი, ცანკოვი, ნიკოფოროვი და სხვანი 9 აგვისტოს არეულობის მონაწილენი. მაგრამ კარაველოვი და ცანკოვი მთავრის ბრძანებათ გაანთავისუფლეს. ის ჯარები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ არეულობაში ვითომ უკან, კიუსტენდილისაკენ დაუხევიათ.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო. 31 დღით არის

22 დღე პარასკევი. მოწ. აღათონიკე. ქალწ.-მოწ. ევლალიასი. კათოლ. მე-8 დღე ღვთის-მშობლის გარდაცვალებიდგან. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—14. ტფილისში მზე ამოდის 5—27, ჩადის 6—31; მთვარე ამოდის 11—8, ჩადის 9—31.

23 დღე შაბათი. მოწ. ლუპპასი, ირინე ლიონის ეპისკ. კათოლ. წმ. აღმსარ. ფილიპპე ბენიცელისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—55. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30; მთვარე ამოდის 12—11, ჩადის 10—12.

24 დღე კვირა. მღვ.-მოწ. ევტიხა. კათოლ. წმ. მოციქ. ბართოლომესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მოწ. სიკვდ. იმამის ბაგირასი (შიიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—35. ტფილისში მზე ამოდის 5—29, ჩადის 6—28; მთვარე ამოდის 1—11, ჩადის 10—55.

25 დღე ორშაბათი. წმ. მოციქ. ბართოლომესი. კათოლ. წმ. აღმსარ. ლუდვიგისა კორსიკანელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. ეიმ-უთ-თერვია, აბრაამი ჰფიქრობს შვილის ისმაილის მსხვერპლად შეწირვას. დაპყრობა აღმოსავლეთის კავკასიისა. შამილის დატუსაღება 1859 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—15. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—27; მთვარე ამოდის 2—6 ჩადის 11—43.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	2½ »
» » 2 »	2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ »
» » 2—	3 »
» » 3 »	2½ »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3½ »
მე-3 —	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	7 »
« » 2	6 »
სუკი	12 »
ცხვრის ხორცი	6 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რ.დგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დ ი ლ ი თ			
ტფილისი	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55
მცხეთა	9	13	9	21
ქსანი	9	39	9	41
კასპი	10	6	10	9
გრაკალი	10	29	10	31
გორი	10	54	11	4
ქარელი	11	33	11	36
გომი	12	—	12	4
ხაშური	12	21	12	41
სურამი	12	53	12	56
ფონი	1	24	1	27
ბეჟათუბანი	2	14	2	34
მარელისი	3	3	3	5
ბელაგორი	3	32	3	35
ძირულა	4	2	4	5
ყვირილა	4	43	4	58
აჯამეთი	5	35	5	37
	ს ა ღ ა მ ო თ ი			
რიონი	5	49	6	4
კოპიტნარი	6	34	6	36
სამტრედია	6	56	7	16
საჯავახო	7	31	7	33
ნიგოითი	7	56	7	59
ლანჩხუთი	8	10	8	14
სუფსა	8	47	8	55
ნატანები	9	19	9	22
ქობულეთი	9	48	9	51
ბათუმი	10	41	—	—

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დ ი ლ ი თ			
ბათუმი	—	—	8	35
ქობულეთი	9	25	9	28
ნატანები	9	54	9	57
სუფსა	10	21	10	27
ლანჩხუთი	11	—	11	3
ნიგოითი	11	14	11	16
საჯავახო	11	39	11	41
სამტრედია	11	56	12	15
კოპიტნარი	12	35	12	37
რიონი	1	7	1	20
აჯამეთი	1	32	1	34
ყვირილა	2	11	2	26
ძირულა	3	4	3	6
ბელაგორი	3	33	3	36
მარელისი	4	3	4	5
ბეჟათუბანი	4	34	4	54
ფონი	5	41	5	44
	ს ა ღ ა მ ო თ ი			
სურამი	6	12	6	15
ხაშური	6	27	6	42
გომი	6	59	7	3
ქარელი	7	27	7	30
გორი	7	59	8	9
გრაკალი	8	32	8	34
კასპი	8	54	8	57
ქსანი	9	22	9	24
მცხეთა	9	42	9	48
ავჭალა	10	6	10	8
ტფილისი	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დ ღ ი ს ი თ			
ტფილისი	—	—	3	15
ავჭალა	3	38	3	41
მცხეთა	4	6	4	16
ქსანი	4	42	4	45
კასპი	5	20	5	25
გრაკალი	5	53	5	56
	ს ა ღ ა მ ო თ ი			
გორი	6	28	6	43
ქარელი	7	24	7	29
გომი	8	3	8	7
ხაშური	8	31	8	46
სურამი	8	58	—	—

	ღ ა მ ი თ			
სურამი	—	—	2	35
ხაშური	2	47	3	2
გომი	3	26	3	31
ქარელი	4	5	4	12
გორი	4	53	5	8
გრაკალი	5	40	5	45
	დ ი ლ ი თ			
კასპი	6	13	6	19
ქსანი	6	54	6	57
მცხეთა	7	23	7	33
ავჭალა	7	58	8	1
ტფილისი	8	24	—	—

განცხადებანი

ახალი

სასწავლებელი და პანსიონი

გ. ნ-მის იოსელიანისა

იღებენ ყმაწვილებს მოსამზადებლად ყოველ საშუალ სასწავლებლებში.

ვარანცოვის ხიდის პირდაპირ, ნიკოლაევის ქუჩა. თ. გრუზინსკის სახლი № 21. (5—1)

ს. ვ. არღუთინსკისა,

(რომელმაც გაათავა სწავლა ფრებელის პედაგოგიურ კურსებზე),

ჰმართავს „საყმაწვილო ბაღს“ და პირველ დასწყებს სკოლას პანსიონით პატარა ქალებისათვის. ყმაწვილები მიიღებიან 20 აგვისტოდამ, დილის 10 საათიდამ 2 საათამდე. ადრესი: ველიამინოვის ქუჩა, სახლი თ. ამატუნისა, ქვედა სართული. იქვე საყმაწვილო ბიბლიოთეკა. (3—2)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 21 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.